ოქმი:ო37. 3725209001
თარიღი:28/07/2025

ოქმი N 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2025 წელი, 25 ივლისი

ქ. ოზურგეთი

16:00- 16:30 -საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ტ. არუშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი., დ. მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 8 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარე უსახელო მწვერვალისატვის საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას სახელის მინიჭების შესახებ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში მდებარე N2 ქუჩისათვის „ასი ათასი მოწამის“ სახელის მინიჭების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ..

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1.ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2 საკითხი დაეწეროს საკრებულოს სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (ბ. თოიძე) განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით.

2.N3 საკითხი საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას (ქ. ხომერიკი).

3.N4 საკითხი განსახილველად დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს, ხოლო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (გ. ჩავლეშვილი) წარმოადგინოს პროექტის ნაერთი დასკვნა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე